



ფინანსური აუდიტის ანგარიში



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ”
სოციალური სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

ზაზა შიშოლაძე

18 „ 01 „ 2018 წელი

ეგზ. N1

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
(პროგრამული კოდი: 33 00)

2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის
კონსოლიდირებული ანგარიშგების ფინანსური აუდიტის ანგარიში N 14/36

სარჩევი

ტერმინთა განმარტება	3
ინფორმაცია კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შესახებ	4
1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე.....	6
1.1 პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....	6
1.2 პირობითი მოსაზრების საფუძვლები.....	7
1.2.1 კონსოლიდაციის პროცესის ნაკლოვანებები.....	7
1.2.2 მოთხოვნები	8
1.2.3 ძირითადი აქტივები.....	10
1.2.4 ხარჯვითი ოპერაციები.....	14
1.2.5 მასშტაბის შეზღუდვა.....	15
2. სხვა საკითხთა აზრები	17
2.1 შეუსრულებელი საინვესტიციო ვალდებულებები.....	17
2.2 პროექტი „Check in Georgia“	18
2.3 სასწავლო პროცესის აღრიცხვა	19
2.4 მივლინებები	19
2.5 ინვენტარიზაცია.....	20
2.6 შემოსავლები იჯარიდან	20
2.7 მოსაწვევები.....	21
3. სამინისტროს ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე	21
4. აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე.....	22
5. დანართები - სამინისტროს (33 00) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება.....	25

ტერმინთა განმარტება

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო - **სამინისტრო**;

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი - **მინისტრი**;

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი, რომელიც ფინანსდება 33 01 პროგრამული კოდით - **სამინისტროს ცენტრალური აპარატი**;

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - **სსიპ**;

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - **შპს**;


საჯარო სექტორში ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის საფუძვლები - **შესაბამისი საფუძვლები**.

ინფორმაცია კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შესახებ

სამინისტრო არის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანო, რომლის საქმიანობა მოიცავს კულტურული მემკვიდრეობის, ხელოვნებისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების სფეროებს. მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე შეიმუშავებს ქვეყნის პოლიტიკას კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის მიმართულებით და კოორდინაციას უწევს მის განხორციელებას.

სამინისტროს ცენტრალური აპარატი, მისი მმართველობის სფეროში შემავალი (86) საჯარო სამართლის იურიდიული პირები და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები ქმნიან სამინისტროს ერთიან სისტემას.

სქემა N1. სამინისტროს სტრუქტურა



2016 წელს სამინისტროს სისტემისთვის (კოდი 33 00) გამოყოფილი ასიგნებები დაგეგმილი იყო 4 პროგრამის დაფინანსებისთვის, რომელთა მიხედვით გეგმური და ხარჯვის მაჩვენებლები შემდეგია:

ცხრილი N1. სამინისტროს 2016 წლის ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრები (ლარი)

პროგრამული კოდი	დასახელება	დამტკიცებული ბიუჯეტი	დაზუსტებული ბიუჯეტი	საკასო ხრჯი	სხვაობა დამტკიც. და დაზუსტ. შორის	შესრულების %
33 00	საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო	97,000,000	120,297,007	128,847,746	-23,297,007	107%
33 01	კულტურისა და ძეგლთა დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა (აპარატი)	5,856,000	5,538,566	5,376,655	317,434	97%
33 02	ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ	55,342,000	81,346,517	89,998,921	-26,004,517	111%
33 03	სახელოვნებო განათლების სისტემის ხელშეწყობა	19,181,000	17,370,527	17,336,928	1,810,473	100%
33 04	კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა	16,621,000	16,041,397	16,135,242	579,603	101%

33 02 კოდის შესაბამისად დაფინანსებული პროგრამა - „ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ“ არის არსებითი პროგრამა, რომლის ფარგლებში დაფინანსებულია სამინისტროს მიერ 2016 წელს კულტურის სფეროში განხორციელებული მნიშვნელოვანი ღონისძიებები, მათ შორის პროექტი „Check in Georgia“.

ცხრილი N2. 2016 წლის ასიგნებები და ხარჯვა ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით (ლარი)

პროგრამული კოდი	დასახელება	დამტკიცებული ბიუჯეტი	დაზუსტებული ბიუჯეტი	საკასო ხრჯი	სხვაობა დამტკიც. და დაზუსტ. შორის	შესრულების %
33 00	საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო	97,000,000	120,297,007	128,847,746	-23,297,007	107%
	ხარჯები	90,879,000	115,736,061	123,626,969	-24,857,061	107%
	შრომის ანაზღაურება	55,203,000	56,030,317	55,954,584	-827,317	100%
	საქონელი და მომსახურება	14,161,000	45,117,372	45,546,370	-30,956,372	101%
	არაფინანსური აქტივების ზრდა	6,121,000	4,557,011	5,216,849	1,563,989	114%
	ვალდებულებების კლება	0	3,935	3,927	-3,935	100%

1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობას

1.1 პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს (შემდგომში „სამინისტრო“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების¹ აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებული ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგებას, ბიუჯეტისა და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგებას, ასევე მათთან დაკავშირებულ დანართებს² მოცემული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდისათვის.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგების შესახებ პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს სამინისტროს ფინანსურ მდგომარეობას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

¹ წარდგენილი 2017 წლის 31 მარტის N04/14-1575 წერილი.

² საქ. ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის დანართები 1-დან 12-მდე.

1.2 პირობითი მოსაზრების საფუძვლები

1.2.1 კონსოლიდაციის პროცესის ნაკლოვანებები

1. სამინისტროს 2016 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის გამორიცხული ეკონომიკური ერთეულის შიგნით განხორციელებული ოპერაციები³. შედეგად, „ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშის“ ფორმა N2-ში გაზრდილი თანხით არის ასახული გრანტებიდან მიღებული შემოსავლების და ხარჯების მუხლები - 15,277,659 ლარის ოდენობით, რომელიც სსიპ „კულტურის განვითარების საინვესტიციო ფონდის“ მიერ სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ-ებს გადაერიცხათ ინფრასტრუქტურული პროექტების ხელშეწყობისათვის კაპიტალური გრანტების სახით. ამასთან, აღნიშნული ფაქტი არ არის მითითებული განმარტებით შენიშვნებში.

2. უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლებელში პირს სტუდენტის სტატუსი ენიჭება ჩარიცხვის შესახებ რექტორის ბრძანების საფუძველზე. სტუდენტს წესდებით გათვალისწინებული სხვადასხვა საფუძვლების არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია შეუჩერდეს სტატუსი, რომელიც აღდგება შეჩერების მიზეზების აღმოფხვრის შემთხვევაში. შეჩერებული სტატუსი პირს უნარჩუნდება 5 წლის განმავლობაში⁴.

სამინისტროს მიერ კონტროლირებულ 3 უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლებელში: სსიპ „საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი“, სსიპ „აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიასა“ და სსიპ „ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში“ დებიტორული დავალიანებების/მოთხოვნების აღრიცხვა იმ სტუდენტების მიმართ, რომელთაც შეუჩერდათ სტუდენტის სტატუსი, წარმოებს განსხვავებულად:

- სსიპ „საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში“ - სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერების შესახებ ბრძანების გამოცემისთანავე ხდება პირზე დარიცხული მოთხოვნის/დებიტორული დავალიანების ჩამოწერა ბუღალტრულად უკუგატარების გზით (დებეტი N6423 - კრედიტი N1480), მიუხედავად იმისა, რომ მათზე გაწეულია სწავლების მომსახურება;
- სსიპ „აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში“ - არ ჩამოიწერება სტატუს შეჩერებული სტუდენტის დებიტორული დავალიანება; რჩება აღრიცხული ფინანსურ

³ საქ. ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის მე-18 მუხლის 29-ე პუნქტი.

⁴ შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო სასწავლებლის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“.

ანგარიშგებაში (N1481 ანგარიში) და ამ სტუდენტებზე გრძელდება წლიური სწავლის გადასახადის დარიცხვაც, მიუხედავად იმისა, რომ მათზე არ ხდება სასწავლო პროცესებით გამოწვეული მომსახურების გაწევა. ასეთი სახის მოთხოვნა შეადგენს 8,290 ლარს;

- სსიპ „ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში“ - არ ჩამოიწერება სტატუსის შეჩერების შემდეგ ამ პირის მიმართ აღრიცხული მოთხოვნა (N1355 ანგარიში) და ჩერდება მათზე სწავლის ღირებულების დარიცხვა.

მოთხოვნის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ის წარმოადგენს აქტივს, თუ ის როგორც ღირებულების დაგროვების საშუალება, უზრუნველყოფს მისი მფლობელისათვის ეკონომიკური სარგებლის მიღებას. მომსახურების მიწოდებისას წარმოქმნილი დებიტორული დავალიანების ღირებულებას წარმოადგენს მიწოდებული მომსახურების ღირებულება⁵. მოცემულ შემთხვევებში: სსიპ „საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი“-ს მიერ ყოველგვარი საფუძვლების არსებობის გარეშე ჩამოიწერა უკვე გაწეული და სტუდენტის მიერ მიღებული მომსახურება, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზაციისთვის ეკონომიკური სარგებლის შემოსვლას; ხოლო სსიპ „აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიი“-ს მიერ დებიტორულ დავალიანებად/მოთხოვნად აღიარდა სტუდენტისთვის მიუწოდებელი/გაუწეველი მომსახურება.

შესაბამისი საფუძვლების თანახმად, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უნდა მომზადდეს ერთნაირი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებით, ანალოგიური ოპერაციებისა და სხვა მოვლენების მიმართ⁶. ხოლო თუ კონტროლირებული ერთეულები, ამ შემთხვევაში ზემოაღნიშნული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, ანალოგიური ოპერაციებისა და სხვა მოვლენებისათვის იყენებენ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში დადგენილი სააღრიცხვო პოლიტიკისაგან განსხვავებულ სააღრიცხვო პოლიტიკას, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მაკონტროლებელმა ერთეულმა - სამინისტრომ უნდა გააკეთოს ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი კორექტირება.

სამინისტროს მიერ არ არის შემუშავებული აღნიშნული ოპერაციებით წარმოქმნილი მოთხოვნების ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკა და მიდგომები და გამჟღავნებული განმარტებით შენიშვნებში; შესაბამისად, 2016 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ამ ნაწილში არ არის დაკორექტირებული.

1.2.2 მოთხოვნები

2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სამინისტროს კონსოლიდირებული ბალანსის მიხედვით დებიტორული დავალიანების ნაშთი შეადგენდა 6,271,713 ლარს, რომელიც საანგარიშო პერიოდში გაიზარდა 730,198 ლარით. ზრდა ძირითადად გამოწვეულია ორგანიზაციების მიერ განხორციელებული წინასწარი გადახდების შედეგად სარეაბილიტაციო სამუშაოების და

⁵ საქ. ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის 26 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები; 28-ე მუხლის მე-14 პუნქტი.

⁶ საქ. ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის მე-18 მუხლის 32-ე და 33-ე პუნქტები.

საზღვარგარეთ სწავლების მიზნებისთვის. წარმოგიდგენთ დებიტორული დავალიანების სტრუქტურას:

ცხრილი N3. დებიტორული დავალიანება (ათ. ლარი)

აქტივები	01.01.2016	31.12.2016
მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით	174.7	186.4
მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ექვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით	466.0	582.2
მოთხოვნები ფულადი სახსრების დანაკლისებით	43.6	34.1
საშემოსავლო გადასახადი	6.8	8.2
მოგების გადასახადი	82.4	105.7
ქონების გადასახადი	45.3	13.5
დამატებული ღირებულების გადასახადი	330.0	114.0
სხვა გადასახადები	17.8	8.8
გადახდილი სხვა გადასახადები	34.0	31.4
სხვა დანარჩენი მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	0.0	4.2
მოთხოვნები ბარტერით	104.5	121.1
მოთხოვნები საქონლის და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	2,533.2	930.6
მოთხოვნები არაფინანსური აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	681.3	2,202.9
მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	20.3	30.2
ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები ავანსად გაცემული თანხებით	6.2	0.8
ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები სხვა თანხებით	12.5	14.2
მოთხოვნები მივლინებით ქვეყნის შიგნით	4.8	3.1
მოთხოვნები მივლინებით ქვეყნის გარეთ	56.4	109.0
მომუშავეების მიმართ სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1.4	0.0
მოთხოვნები წინასწარ გადახდილი გადასახდელებით	10.7	41.7
სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	1,636.4	2,456.4
სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	3.4	3.4
ჯამი	6,271.7	7,001.9

არასწორად აღრიცხული მოთხოვნები

სსიპ „საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის“ სააღრიცხვო რეგისტრებში სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნების N1480 ანგარიშზე წლის დასასრულის ნაშთად ფიქსირდება 83,727 ლარის საკრედიტო (უარყოფითი) ნაშთი, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს ვალდებულებას. მოთხოვნა/ვალდებულებათა აღრიცხვის არსებული წესის თანახმად, აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა დაუშვებელია. ფინანსური ვალდებულებით ოპერაციები წარმოდგენილი უნდა იყოს ფინანსური აქტივებით განხორციელებული ოპერაციებისგან განცალკევებით⁷.

⁷ საქ. ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის მე-16 მუხლის მე-7 პუნქტი და 30-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

შესაბამისად, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოთხოვნების ანგარიში შემცირებულია 83,727 ლარით; ასევე აღნიშნული თანხით შემცირებულად არის წარდგენილი ვალდებულებების ნაშთიც.

შემცირებული მოთხოვნები - დაურიცხავი სანქციები

- სსიპ „საქართველოს ეროვნული მუზეუმის“ მიერ შპს „მეიდან ჯგუფთან“ გაფორმებული ხელშეკრულებების⁸ თანახმად, 2016 წელს საიჯარო ქირის დადგენილ ვადებში გადაუხდელობის გამო კომპანიას არ დაერიცხა პირგასამტეხლო თანხით სულ - 1,594 ლარის ოდენობით.
- სსიპ „ქ. თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრის“ მიერ 2016 წლის 6 ივლისს⁹ შპს „რეგლან“-თან 253,382 ლარზე გაფორმდა ხელშეკრულება საოპერო სპექტაკლისათვის „კარმენი“ გარედან ჩასაცემელი ტანსაცმლის შესყიდვაზე. კომპანიამ დადგენილ ვადებში ვერ უზრუნველყო საქონლის სრულად მიწოდება; წლის ბოლოს მიღება/ჩაბარების აქტების შესაბამისად მიწოდებული იყო მხოლოდ - 50%. ხელშეკრულების შესაბამისად¹⁰ კომპანიას არ დაერიცხა პირგასამტეხლო საქონლის დავიანებით მიწოდებისთვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით თანხით - 4,561 (253,382*0,1%*18 დღე-1 დეკემბრის ნაცვლად 19 დეკემბერს მოწოდებისთვის) ლარი.
- ხელშეკრულების პირობების არაჯეროვნად შესრულებისათვის სსიპ „საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტმა“ შეუწყვიტა ხელშეკრულებები და პირგასამტეხლოს სახით დააკისრა ჯარიმები - შპს „ხურო“-ს 16,532 ლარის ოდენობით, „კონვენტ ჯორჯია“-ს - 5,943 ლარის ოდენობით.

აუდიტით გამოვლინდა, რომ ზემოაღნიშნული სსიპ-ების მიერ სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლოს თანხები სულ - 28,630 ლარის ოდენობით, არ არის აღრიცხული სააღრიცხვო რეგისტრებში¹¹, რის შედეგადაც შემცირებულია საბალანსო ანგარიშების - N1354 „მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით“ და „კაპიტალის“ N5000 - საბოლოო ნაშთები.

1.2.3 ძირითადი აქტივები

სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიხედვით 2016 წლის 1 იანვრისთვის ძირითადი აქტივების საბალანსო ღირებულება შეადგენდა 225,608,167 ლარს, ხოლო წლის ბოლოს - 311,717,863 ლარს. ნაშთის ზრდა 86,109,696 ლარის ოდენობით, არსებითად განაპირობა „ქართუ“

⁸ ხელშეკრულებები: 1) 2008 წლის 11 თებერვლის, 2) 2011 წლის 19 აგვისტოს N3.

⁹ ხელშეკრულება No-187 06.07.2016 წელი.

¹⁰ ხელშეკრულების მე-11 მუხლის 11.2 პუნქტი.

¹¹ საქ. ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის 51-ე მუხლის მე-15 პუნქტი.

ჯგუფის დაფინანსებით განხორციელებული „არასაცხოვრებელი შენობების“ და „სხვა მანქანა-დანაგდარების და ინვენტარის“ მუხლების შესაბამისად შეძენილი აქტივების ზრდამ.

ცხრილი N4. ძირითადი აქტივების საბალანსო ნაშთები მუხლების მიხედვით (ლარი)

N	ძირითადი აქტივების დასახელება	ანგარიშის N	ნაშთი 01.01.2016	ნაშთი 31.12.2016
1	საცხოვრებელი შენობები	2111	33,575	20,800
2	არასაცხოვრებელი შენობები	2112	196,898,057	271,584,059
8	გაყვანილობის სისტემები	2118	0	40,770
9	სხვა ნაგებობები	2119	2,654,062	3,324,846
10	სატრანსპორტო საშუალებები	2121	1,487,551	1,342,734
11	სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	2122	21,593,065	33,004,879
13	არამატერიალური ძირითადი აქტივები	2132	1,696,181	1,854,238
14	დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი	2141	1,245,676	545,537
ჯამი			225,608,167	311,717,863

შენობა-ნაგებობების აფასების შედეგების არასწორად განსაზღვრა

2016 წელს სსიპ „თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში“ განხორციელდა შენობა-ნაგებობების ნაწილის გადაფასება (საბოლოო შედეგით აფასება). გადაფასება ფინანსურ აღრიცხვაში აისახა არასწორად; კერძოდ, არ მოხდა ძირითად აქტივებზე დაგროვილი ცვეთის გათვალისწინება. როდესაც ხდება ძირითადი საშუალებების გადაფასება, გადაფასების თარიღისათვის არსებული ცვეთა აკლდება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას, ხოლო სხვაობის თანხა გადაიანგარიშება აქტივის გადაფასებულ ღირებულებამდე. მაგალითად, ეს მეთოდი გამოიყენება იმ შენობებისთვის, რომელთა გადაფასება ხდება მათი საბაზრო ღირებულების მიხედვით¹². მოცემულ შემთხვევაში აფასება განხორციელდა აქტივის ისტორიული ღირებულების მიხედვით და არა მისი ნარჩენი, საბალანსო ღირებულებიდან გამომდინარე შემფასებლის მიერ განსაზღვრულ ღირებულებამდე.

შედეგად, შემცირებულად არის წარმოდგენილი შემდეგი საბალანსო ანგარიშების საბოლოო ნაშთები: „ძირითადი საშუალებების“ -772,148 ლარით; „წმინდა ღირებულების“ - 765,338 ლარით, ხოლო „გაუნაწილებელი მოგება“ - 6,810 ლარის ოდენობით. ასევე, ფინანსურ ანგარიშების ფორმა N4_ში - „სხვა არასაოპერაციო შემოსავლები“ წარმოდგენილია 772,148 ლარით შემცირებული ღირებულებით.

¹² ბასს 16 ნაწილი 35.

არასწორი კლასიფიკაცია

- ძირითადი აქტივის ღირებულებაში შედის საკუთრების უფლების გადაცემასთან დაკავშირებული ხარჯები, რომლის ერთ-ერთ ელემენტს შეადგენს საპროექტო სამუშაოების ღირებულება¹³. სსიპ „საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის“ მიხედვით არ განხორციელებულა რუსთაველის გამზირ N19-ში მდებარე შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების ღირებულების - 94,899 ლარის კაპიტალიზაცია/შენობის ღირებულებაზე დამატება.
- სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს“ მიხედვით არ განხორციელებულა არამატერიალური აქტივის - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა მართვის გეოსაინფორმაციო სისტემის და გის პორტალის - განახლება-გაუმჯობესების სამუშაოებზე გაწეული დანახარჯების კაპიტალიზაცია; კერძოდ, სააგენტოს მიერ გაფორმებული 2 ხელშეკრულების¹⁴ ფარგლებში თანხით 37,840 ლარის ოდენობით განხორციელდა მონაცემთა ბაზის ფუნქციონალობის გაუმჯობესება და გის სერვისებით განახლება, ასევე გაუმჯობესდა დიზაინი და პროგრამული ნაწილი და ა.შ. მოცემულ მომსახურებაზე გაწეული ხარჯები აღიარებული იქნა მიმდინარე პერიოდის ხარჯად. აღნიშნული სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოადგენს გადახვევას ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შესაბამისი საფუძვლების მოთხოვნიდან, რომლის მიხედვით არაფინანსური აქტივების არსებითი გაუმჯობესება – განახლება, რეკონსტრუქცია ან გაფართოება, რაც მნიშვნელოვნად ზრდის საწარმოო სიმძლავრეს, ხარისხს ან ახანგრძლივებს არსებული ძირითადი აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადას, განიხილება როგორც არაფინანსური აქტივების მიღება. აქტივების არსებითი გაუმჯობესება აღირიცხება როგორც აქტივის მიღების ოპერაცია, მიუხედავად იმისა, რომ არ ხდება ახალი აქტივის მიღება¹⁵. ამასთან, მოცემული ღონისძიებები წარმოადგენს არამატერიალური აქტივის განვითარების სამუშაოებს და თუ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს (მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების შემოსვლა, შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება) უნდა მოხდეს ამ დანახარჯების კაპიტალიზაცია/დამატება აქტივის ღირებულებაზე¹⁶.
- სსიპ „ვაჟა ფშაველას სახელობის თელავის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა“ ნაცვლად ძირითადი აქტივების დაშლის შედეგად მიღებული სხვა მატერიალური მარაგების ღირებულების გაზრდისა, მოახდინა დემონტაჟის ხარჯების კაპიტალიზაცია და შენობა-ნაგებობების საბალანსო ღირებულების გაზრდა 113,100 ლარით. თეატრს 2016 წელს ბალანსიდან არ აქვს ჩამოწერილი 1,014,294 ლარის საბალანსო ღირებულების ძირითადი საშუალებები (მიწისზედა სამუშაოების ღირებულება), რომელსაც გაუკეთდა დემონტაჟი.

¹³ საქ. ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის 45-ე მუხლის მე-10 პუნქტის გ) ქვეპუნქტი.

¹⁴ ხელშეკრულებები - N2/1 ტ 06.01.2016 წ. და N3/318 ტ 29.08.2016 წ.

¹⁵ საქ. ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის 44-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

¹⁶ საქ. ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის 45-ე მუხლის 22-ე პუნქტი.

- სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ-ების მიერ 2016 წელს შემოსავალში აღებულია და აღრიცხული არის ძირითადი აქტივების საბალანსო ანგარიშზე 27,327 ლარის სხვადასხვა დასახელების აქტივები¹⁷, რომელთა თვითღირებულება ნაკლებია 500 ლარზე.
- 2016 წელს სსიპ „ქ. თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრის“ მიერ ხარჯებში არის ჩამოწერილი 15,705 (13,600+2,105) ლარის ისეთი აქტივები, რომელთა ერთეული ისტორიული ღირებულება აღემატება 500 ლარს და აკმაყოფილებს ძირითად აქტივად აღიარების კრიტერიუმებს¹⁸. აღნიშნული აქტივები ჩამოწერილია ხარჯებში.

არასწორი კლასიფიკაციის შედეგად, ძირითადი აქტივების აღრიცხვაში არსებული უზუსტობებიდან გამომდინარე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიხედვით გაზრდილია ძირითადი აქტივების საბალანსო ანგარიშის საწყისი ნაშთი - 1,018,895 ლარის, საბოლოო ნაშთი - 1,006,277 ლარის ოდენობით და შემცირებული არის „კაპიტალის“ საბოლოო ნაშთი 15,705 ლარით.

აღრიცხავი ინვენტარიზაციის შედეგები

სსიპ „ქ. თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრის“ დირექტორის 2016 წლის 20 მაისის N38 ბრძანების საფუძველზე ჩატარდა 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აქტივებისა და ვალდებულების ინვენტარიზაცია. დასრულებული საინვენტარიზაციო აღწერილობების შედეგებით გამოვლინდა ბუღალტრულად აღრიცხულსა და ფაქტობრივად არსებულ აქტივებს შორის სხვაობები - დანაკლისები და ზედმეტობა; კერძოდ, არაფინანსური აქტივების მუხლით სხვადასხვა დასახელების აქტივების დანაკლისი - 6,005 ლარის ოდენობით და ზედმეტობა - სხვადასხვა სახის აქტივების (ფეხსაცმელი, პარიკები, კოსტიუმები და ა.შ.). შესაბამისი კომპეტენციის პირის მიერ არ შეფასებულა გამოვლენილი არაფინანსური აქტივების ზედმეტობები.

არსებული წესის თანახმად, საინვენტარიზაციო კომისიის სხდომის ოქმი მტკიცდება ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ ინვენტარიზაციის დასრულებიდან ორი კვირის განმავლობაში და ინვენტარიზაციის შედეგები აისახება იმ თვის აღრიცხვასა და ანგარიშგებაში, რომელშიც დასრულდა ინვენტარიზაცია. მიუხედავად იმისა, რომ ინვენტარიზაცია დასრულდა 2016 წლის ბოლოს, საინვენტარიზაციო კომისიის სხდომის შემაჯამებელი ოქმი აუდიტის მიმდინარეობისას ჯერ კიდევ არ იყო დამტკიცებული ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ და შედეგები არ იყო თეატრის 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული¹⁹.

შედეგად, გამოვლენილი დანაკლისებით არასწორად, გაზრდილად არის წარდგენილი არაფინანსური აქტივების საბოლოო ნაშთი და შემცირებულია N1440 ანგარიში - „მოთხოვნები არაფინანსური

¹⁷ საქ. ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის 43-ე მუხლის მე-4, მე-8 და მე-9 პუნქტები.

¹⁸ საქ. ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის 43-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

¹⁹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მე-15 მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტები.

აქტივების დანაკლისებით“. ინვენტარიზაციით გამოვლენილი არაფინანსური აქტივების ზედმეტობების აღურიცხაობით კი შემცირებულია აქტივების და კაპიტალის შესაბამისი ანგარიშები.

1.2.4 ხარჯვითი ოპერაციები

ოპერაციის არასწორ საანგარიშგებო პერიოდზე მიკუთვნება

სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს“ მიერ ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინების მუხლით 2015 წლის ფაქტობრივი ხარჯი²⁰ (8 მოსამსახურის თურქეთში) 8,083 ლარის ოდენობით, ხარჯად აღიარებულია დაგვიანებით 2016 წელს. ხარჯვითი ოპერაციების აღრიცხვაში ასახვის დრო განისაზღვრება დარიცხვის მეთოდით²¹ და მიეკუთვნება იმ პერიოდის ხარჯს, რომელშიც გაიწია.

მოცემულ შემთხვევაში ხარჯების შესაბამის პერიოდზე არასწორად მიკუთვნების შედეგად არ არის უზრუნველყოფილი „წმინდა ღირებულების“ ანგარიშის სიზუსტე.

ძირითადი კაპიტალის მოხმარება

- სსიპ „საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში“ 2016 წლის ბოლოს ძირითად აქტივებზე ფიზიკური ცვეთის დარიცხვის პოლიტიკა არ შეესაბამება არსებულ წესს. ცვეთის დარიცხვის ბაზად აღებულია აქტივის ნარჩენი საბალანსო ღირებულება, ნაცვლად საწყისი, ისტორიული ღირებულებისა²²;
- სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს“ მიხედვით ბანალსზე რიცხულ 152,686 ლარის ისტორიული ღირებულების მქონე ძირითად აქტივებზე არ მომხდარა ცვეთის დარიცხვა, რაც შეადგენს 4,241 ლარს.
- სსიპ-ების მიერ 2016 წელს წლიური ცვეთის ხარჯის გამოთვლისას ზოგიერთი აქტივის მიმართ გამოყენებულია ცვეთის არასწორი, შეუსაბამო ნორმა/კოეფიციენტი, რის შედეგად 32,400 ლარის ოდენობით შემცირებულია გაწეული ცვეთის ხარჯი.

ამრიგად, სსიპ-ების მიერ ძირითადი კაპიტალის მოხმარების/ცვეთის სააღრიცხვო უზუსტობების შედეგად, შემცირებული არის ცვეთის ხარჯი 36,641 ლარის ოდენობით. ასევე არ არის უზრუნველყოფილი კონსოლიდირებული ბალანსის „ძირითადი აქტივების“ და „კაპიტალის“ მუხლით ანგარიშების სისწორე.

²⁰ ბრძ. N3/149 05.11.2015 წელი.

²¹ საქ. ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის 54-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

²² საქ. ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის N439 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-3 მუხლი.

1.2.5 მასშტაბის შეზღუდვა

სსიპ „საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი“

ზოგიერთი საბალანსო ანგარიშების მიხედვით უნივერსიტეტის სააღრიცხვო სისტემაში ასახული საწყისი ნაშთი წინა წლის საბოლოო ნაშთთან (რომელიც წარმოადგენდა აუდიტებული პერიოდის საწყის ნაშთს) შესაბამისობაში იქნა მოყვანილი გაურკვეველი, ხელოვნური ე.წ. „მაკორექტირებელი გატარებებით“, რომელსაც საფუძვლად არ ედო რეალური ეკონომიკური მოვლენის მოხდენის ფაქტი. ასეთი მაკორექტირებელი გატარებებით ხელოვნურად გაიზარდა შემდეგი საბალანსო ანგარიშების ნაშთები:

- ძირითადი აქტივების N2100 ანგარიშის შესაბამისად - საწყისი ნაშთი 369,896 ლარით, საბოლოო ნაშთი - 306,482 ლარით;
- გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების N2200 საბალანსო ანგარიშის მიხედვით - 2,415 ლარით მოხდა საწყისი და საბოლოო ნაშთების გაზრდა/კორექტირება;
- მატერიალური მარაგების N1621 „ნედლეული და მასლების“ საბალანსო ანგარიშის საწყისი და საბოლოო ნაშთის დაკორექტირება და ხელოვნურად გაზრდა - 222,578 ლარის ოდენობით, რომლის იდენტიფიცირებაც შეუძლებელია;
- განხორციელდა „სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნების“ N1483 საბალანსო ანგარიშზე 110,799 ლარის ოდენობის საკრედიტო (უარყოფითი) საწყისი ნაშთის დაფიქსირება და ასევე წლის ბოლოს დებეტური მაკორექტირებელი ბრუნვის გამოყენებით, საბოლოო ნაშთად 1,160 ლარის აღრიცხვა.

ზემოაღნიშნულის გარდა, უნივერსიტეტის სააღრიცხვო რეგისტრების (ბრუნვათა უწყისი) შესაბამისად N2100 „ძირითადი აქტივების“ საბალანსო ანგარიშზე ირიცხება საკრედიტო (უარყოფითი) ნაშთი 114,832 ლარის ოდენობით, რომელიც არასწორი ბუღალტრული აღრიცხვის შედეგია.

ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი ხარჯვითი ოპერაციების მიმართ; კერძოდ, გაზრდილი არის ხარჯების N7300 „ძირითადი კაპიტალის მოხმარება“ - ანგარიში 63,627 ლარის ოდენობით; შესაბამისად, აღნიშნულის გავლენით იგივე თანხით შემცირებულია და არასწორად არის წარდგენილი N5000 „კაპიტალის“ ანგარიში.

სსიპ „თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია“

კონსერვატორიის მიერ წარდგენილი 2016 წლის ფინანსური ანგარიშგება (ბალანსი) ვერ უზრუნველყოფს ორგანიზაციის სამეურნეო პროცესებისა და საქმიანობის შედეგების შესახებ სრული და უტყუარი ინფორმაციის ჩამოყალიბებას, რადგან სამეურნეო ოპერაციების ბუღალტრული აღრიცხვა სრულყოფილად არ წარმოებს ორმაგი ჩაწერის ხერხით ანგარიშთა გეგმის შესაბამისად (მაგალითად, ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში მიღებული სახსრებიდან გაწეული ხარჯები არ არის გადახურული ბუღალტრული გატარებებით შესაბამის ანგარიშებზე²³). იმისათვის რომ უზრუნველყოფილი იყოს საბალანსო ანგარიშების სისრულე, სიზუსტე და უტყუარობა პირველად

²³ საქ. ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის 53-ე მუხლის მე-7 პუნქტი.

დოკუმენტებში მოცემული ინფორმაცია გროვდება და სისტემაში მოდის სააღრიცხვო რეგისტრებში, რომლებიც შედგენილია ბუღალტრული აღრიცხვის საერთო მეთოლოგიური პრინციპების დაცვით და ბუღალტრული ანგარიშგების შედგენის საფუძველია²⁴.

კონსერვატორიაში ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსში) სრულად არ არის ასახული ყველა სამეურნეო ოპერაცია, რომელთა მოხდენის ფაქტიც დასტურდება პირველადი აღრიცხვის დოკუმენტებით (მაგალითად, მცირეფასიანი აქტივების N2200 საბალანსო ანგარიშის მიხედვით საწყისი ნაშთი - 63,362 ლარის და საბოლოო ნაშთი - 80,741 ლარის ოდენობით, ასევე 2016 წლის განმავლობაში აღნიშნულ ანგარიშზე დებეტური ბრუნვა/შემოსავალი 17,379 ლარის ოდენობით, ანალოგიურად - მატერიალური მარაგების N1600 საბალანსო ანგარიშზე), შედეგად, კონსერვატორიის მიერ წარდგენილი 2016 წლის ბუღალტრული ანგარიშგება/ბალანსის მიხედვით აღრიცხული ანგარიშების ნაშთები არ არის შესაბამისობაში სააღრიცხვო რეგისტრების (სინთეზური და ანალიზური აღრიცხვის) მიხედვით აღრიცხული შესაბამისი ანგარიშების ნაშთებთან:

ცხრილი N5. სხვაობები ფინანსურ ანგარიშგებას (ბალანსი) და სააღრიცხვო რეგისტრებს შორის (ლარი)

ფორმა № 1 (ანგარიშგება)				საბუღალტრო პროგრამა		სხვაობა	
დასახელება	ანგარიშის N	2016 წლის 31 დეკემბერი	2015 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი	2015 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი	2015 წლის 31 დეკემბერი
აქტივები							
მოკლევადიანი აქტივები							
ფულადი სახსრები	1100-1200	229,671	234,109	229,933	234,109	(262)	(0)
სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1300	24,104	-	1,277	(16,112)	22,827	16,112
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1400	16,302	167,841	18,440	174,874	(138)	(7,033)
სხვა მატერიალური მარაგები	1600	2,250	2,250	6,107	6,642	(3,857)	(4,392)
სულ მოკლევადიანი აქტივები		274,327	404,200	255,757	399,513	18,570	4,687
გრძელვადიანი აქტივები							
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2200	-	-	80,741	63,362	(80,741)	(63,362)
ძირითადი აქტივები	2100	4,694,819	4,062,347	6,252,046	5,439,855	(1,557,227)	(1,377,508)
არ აწარმოებული აქტივები	2400	636,687	636,687	636,687	636,687	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		5,331,506	4,699,034	6,969,475	6,139,904	(1,637,969)	(1,440,870)
ბალანსი		5,605,833	5,103,234	7,225,232	6,539,417	(1,619,399)	(1,436,183)
ვალდებულებები							
სხვა მოკლევადიანი კრედიტორული ვალდებულებები	3200	800	-	(23,342)	(36,657)	24,142	36,657
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-	-	-	-	-
სულ ვალდებულებები		800	-	(23,342)	(36,657)	24,142	36,657
კაპიტალი							
აქტივების წმინდა ღირებულება	5100	4,517,870	4,651,854	4,179,266	4,121,591	338,604	530,263
გაუნაწილებელი მოგება	5220	1,087,163	451,380	1,157,853	543,028	(70,690)	(91,648)
დაუფარავი ზარალი	5230	-	-	-	-	-	-
სულ კაპიტალი		5,605,033	5,103,234	5,337,119	4,664,619	267,914	438,615
ბალანსი		5,605,833	5,103,234	5,313,777	4,627,962	292,056	475,272
				(1,911,455)	(1,911,455)	1,911,455	1,911,455

²⁴ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტი, მე-6 მუხლი, მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტი და მე-8 მუხლი.

აუდიტს წარმართავდით უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი ანგარიშის ნაწილში სახელწოდებით - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით“. ჩვენ, უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) ეთიკის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად, ვართ სამინისტროსგან დამოუკიდებელი აუდიტორები და შესრულებული გვაქვს INTOSAI-ის მიერ დაწესებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

2. სხვა საკითხთა აბზაცი

2.1 შეუსრულებელი საინვესტიციო ვალდებულებები

სსიპ „საქართველოს ეროვნულ მუზეუმს“ ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოსთან 2006 წლის 22 ნოემბერს გაფორმებული უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების შესაბამისად, გადმოეცა ქ. თბილისში სიონის ქ. N8-ში მდებარე შენობაში 3,738.97 კვ. მ. არასაცხოვრებელი ფართობი და მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთი 1,685.56 კვ. მ-ის ოდენობით 357,698 ლარის ნარჩენი საბალანსო ღირებულებით (საკადასტრო კოდი 01.18.03.046.013).

ზემოაღნიშნულ შენობაში 1,789 კვ. მ. ფართობი (ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი-ქარვასლა) 2008 წლის 11 თებერვალს²⁵ ეროვნულმა მუზეუმმა გადასცა შპს „გორგასალს“ (შემდგომში მისი სამართალმემკვიდრე/უფლებამონაცვლე შპს „მეიდან ჯგუფი“) 49 წლიანი საიჯარო ვადით 20,500 აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში - წლიური საიჯარო ქირის ოდენობის გადახდით. საიჯარო ხელშეკრულების თანახმად²⁶ დაუშვებელი იყო საიჯარო ქირის გაზრდა ან ხელშეკრულების ვადის შემცირება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ხოლო წლიური საიჯარო ქირის გადახდა მოხდებოდა 6 თვეში ერთხელ. მოიჯარე ვალდებული²⁷ იყო:

- მოეხდინა სიონის ქ. N8-ში მდებარე ქარვასლის შენობის სრული რეკონსტრუქცია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- განეხორციელებინა 2 წლის განმავლობაში არაუმცირეს 1,000,000 (ერთი მილიონი) აშშ დოლარის ინვესტირება შენობის რეაბილიტაციაში (შემდგომში მხარეთა შეთანხმებით ვადა გაგრძელდა 2013 წლის 10 თებერვლამდე);
- საიჯარო ხელშეკრულების მოქმედების მანძილზე - სამუზეუმო საქმიანობაში მონაწილეობა და ხელშეწყობა.

²⁵ უძრავი ქონების იჯარით გაცემის საკონკურსო კომისიის 2008 წლის 3 იანვრის N1 ოქმი.

²⁶ 2008 წლის 11 თებერვლის იჯარის ხელშეკრულების მე-2 მუხლი.

²⁷ 2008 წლის 11 თებერვლის იჯარის ხელშეკრულების მე-3 მუხლი.

მოიჯარის მიერ ზემოაღნიშნული საინვესტიციო ვალდებულებები, აუდიტის პერიოდის ჩათვლით, არ არის შესრულებული.

2016 წლის 16 სექტემბერს ეროვნულ მუზეუმსა და შპს „მეიდან ჯგუფს“ შორის შედგა დამატებითი შეთანხმება, რომლის თანახმად გაგრძელდა შენობის სარეაბილიტაციოდ 1,000,000 აშშ დოლარის ინვესტირების ვადა 2017 წლის 31 დეკემბრამდე და განისაზღვრა სანქცია/პირგასამტეხლო: საინვესტიციო პერიოდის გასვლის შემდეგ, მოიჯარე ვალდებულია ყოველ ვადაგადაცემაზე დადგეს გადაიხადოს საურავი შეუსრულებელი საინვესტიციო ღირებულების 0.01%-ის ოდენობით.

2.2 პროექტი „Check in Georgia“

საქართველოს მთავრობის განკარგულებით²⁸ მთავრობის სარეზერვო ფონდიდან პროექტ „Check in Georgia“-ს ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების დაფინანსების მიზნით გამოიყო 28,000,000 ლარი. აღნიშნული პროექტი ითვალისწინებდა სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას; მათი უმრავლესობა განახორციელა სსიპ „კულტურის განვითარების საინვესტიციო ფონდმა“, რომელსაც ამ მიზნით მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოეყო 22,854,080 (საკასო ხარჯი - 22,824,887 ლარი) ლარი.

ფონდის განსახორციელებელ ღონისძიებებს მიეკუთვნებოდა: მსოფლიო კლასის არენა შოუ - 4; რეგიონული კონცერტი ქვეყნის 17 ქალაქში - 46 აქტივობა; ბათუმის ქუჩის წარმოდგენები - 40 აქტივობა; ბათუმის კოლონადებთან და კორტებზე გამართული კონცერტები და ა.შ. საინვესტიციო ფონდმა განახორციელა უცხოელ შემსრულებელთა - ეროს რამაზოტის, რობი უილიამსის და MAROON 5-ის კონცერტებზე ბილეთების რეალიზაცია. პროექტის დანარჩენ ღონისძიებებზე დასწრება იყო უფასო. უფლებამოსილი პირის განმარტებით, კონცერტების ჩატარების ადგილები, გასაყიდი ადგილების/ბილეთების რაოდენობა და ბილეთების ფასები (სიტყვიერად) შეთანხმებული იყო კულტურისა და ძეგლთა დაცვის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროებთან და საქართველოს მთავრობასთან. ღონისძიებებზე ბილეთების სარეალიზაციოდ (სინქრონული, ასინქრონული და სწრაფი გადახდის აპარატების მეშვეობით) სსიპ-მა ხელშეკრულება²⁹ გააფორმა შპს „ონლაინ თიქეტსთან“ (TKT.GE). „ონლაინ თიქეტს“-მა პროგრამულად უზრუნველყო საინვესტიციო ფონდის განთავსება საკუთარ სერვერზე; აღნიშნულის უზრუნველსაყოფად შეიქმნა ელექტრონული მომხმარებელი, რომლის ფარგლებშიც ფონდს ჰქონდა წვდომა ღონისძიებების მიხედვით რეალიზებული ბილეთების ინფორმაციაზე. შემსრულებლების შესაბამისად კონცერტების ბილეთების სარეალიზაციო ფასები და რაოდენობა განისაზღვრა ბრძანებებით³⁰. სსიპ „კულტურის განვითარების საინვესტიციო ფონდის“ მიერ 2016 წელს 3 კონცერტის ფარგლებში ბილეთების რეალიზაციიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა სულ - 3,044,030 ლარი.

აღნიშნულ კონცერტებზე ბილეთების რეალიზაცია განახორციელა საინვესტიციო ფონდმა და შპს „ონლაინ თიქეტსმა“. საინვესტიციო ფონდი არ ახდენდა ჩატარებული კონცერტების მიხედვით გაყიდული ბილეთების შესახებ TKT.GE-ს მონაცემთა ბაზიდან დეტალური ინფორმაციების (გაყიდვის არხების (ონლაინ, სალარო) და ოპერატორების, პერიოდების მიხედვით გადახდებზე, მომხმარებლებზე, შეკვეთებზე) რეპორტირებას და დადოკუმენტირებას - და შემოსავლის აღიარება ხორციელდებოდა

²⁸ საქ. მთავრობის განკარგულებები 2016 წლის - 18 მარტის N465; 8 აპრილის N589; 22 აპრილის N686.

²⁹ ხელშეკრულება N33020123/7 7.04.2016 წ.

³⁰ ბრძანება N8/2 14.04.2016წ; ბრძანება N8/3 19.04.2016წ; ბრძანება N8/4 21.04.2016წ; ბრძანება N8/1 06.04.2016წ.

პროგრამიდან გენერირებული სტატისტიკური ანგარიშების საფუძველზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების შესაბამისად. მოცემული სტატისტიკური ანგარიშების მიხედვით გაუყიდავი ბილეთების რაოდენობამ შეადგინა - 3,719 ერთეული, ღირებულებით - 141,840 ლარი.

2.3 სასწავლო პროცესის აღრიცხვა

სამინისტროს კონტროლის ქვეშ არსებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში: სსიპ „თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია“, სსიპ „საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტსა“ და სსიპ „თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სამხატვრო აკადემიაში“ - სასწავლო პროცესის სრულფასოვანი აღრიცხვისათვის არ გამოიყენება ერთიანი ელექტრონული სისტემა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნებოდა დროულად სრული და ზუსტი ინფორმაციის მიღება ფაკულტეტების, კურსების მიხედვით სტუდენტთა რაოდენობებისა და სწავლის დარიცხული და გადახდილი/გადასახდელი გადასახადების, გრანტების, დავალიანებების შესახებ და სხვა.

2.4 მივლინებები

სსიპ „ქ. თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრის“ ხელმძღვანელობის მიერ 2016 წელს მივლინებების ფარგლებში გაცემული თანხების ხარჯვასთან დაკავშირებით არ იყო შემუშავებული და დამტკიცებული შიდა პოლიტიკა და პროცედურები, მათ შორის ქვეყნის ფარგლებს გარეთ მოხელის მივლინების ანგარიშის ფორმა. 2016 წელს ქვეყნის ფარგლებს გარეთ განხორციელებული ზოგიერთი მივლინების შესაბამისად აუდიტის ჯგუფმა ვერ მოიპოვა შესაბამისი მტკიცებულებები (მოწვევები, სამგზავრო ბილეთები და ა.შ.), რომელიც დაადასტურებდა მივლინების მიზნობრიობას, ფაქტობრივ განხორციელებას:

ცხრილი N6. დაუსაბუთებელი მივლინებები (ლარი)

ბრძანების N და თარიღი	ქვეყანა	თანხა
N59 01.03.2016	ავსტრია/გერმანია	3,533
N219 14.06.2016	გერმანია	546
ჯამი		4,079

2.5 ინვენტარიზაცია

ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მონაცემების უტყუარობის უზრუნველყოფის მიზნით 2016 წელს სსიპ „საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში“ ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების სავალდებულო³¹ ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა. უფლებამოსილი პირის განმარტებით, აღნიშნულის მიზეზს წარმოადგენდა უნივერსიტეტის პირველ კორპუსში მიმდინარე კაპიტალური რემონტი.

უნივერსიტეტში ბოლო ინვენტარიზაცია ჩატარდა 2013 წელს, რომელიც მოიცავდა 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რიცხულ ძირითად აქტივებს. ინვენტარიზაცია ჩატარა შპს „აუდიტ კომპანიმ“, რომელსაც უნივერსიტეტის მიმართ ერიცხებოდა დებიტორული დავალიანება 7,000 ლარის ოდენობით (რომელიც წარმოიქმნა გადარიცხული ავანსის შედეგად 2007-08 წლებში ინვენტარიზაციის ჩატარების მიზნით გაფორმებული 8,000 ლარის ოდენობის ხელშეკრულებების შესაბამისად). მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას უნივერსიტეტის მიმართ გააჩნდა შეუსრულებელი ვალდებულება, გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად კომპანიას გადაერიცხა 4,800 ლარი.

შესამოწმებელ პერიოდში ზემოაღნიშნული დებიტორული დავალიანება 7,000 ლარის ოდენობით ირიცხებოდა უნივერსიტეტის ფინანსურ ანგარიშგებაში N1431 „მოთხოვნები წინასწარი გადახდებით“ ანგარიშზე. აღრიცხვის საფუძვლების თანახმად, თუ ავანსად გაცემული თანხების შედეგად მომსახურების მოწოდება ვერ ხორციელდება, აღნიშნული თანხები რეკლასიფიცირდება „ფულად სახსრებზე მოთხოვნებად“ და აღირიცხება N1355 ანგარიშზე³². დებიტორული დავალიანების ამოღების უზრუნველყოფის მიზნით უნივერსიტეტს არ გაუტარებია კანონმდებლობით გათვალისწინებული არანაირი ზომები.

2.6 შემოსავლები იჯარიდან

სსიპ „თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში“ რიგი საიჯარო ხელშეკრულებების მიხედვით დიდი და მცირე საკონცერტო დარბაზების დროებით სარგებლობაში გადაცემის შემთხვევაში, საიჯარო ქირა განსხვავდებოდა აკადემიური საბჭოს³³ მიერ განსაზღვრული და შესაბამისი ბრძანებით³⁴ დამტკიცებული ტარიფებისგან. მოცემული შემთხვევების მიხედვით სხვაობამ შეადგინა 36,699 ლარი (დღგ-ს გარეშე).

წარმოდგენილი მტკიცებულებების შესაბამისად არ არის დასაბუთებული დაბალი განაკვეთებით აქტივების იჯარით გაცემის გადაწყვეტილება.

³¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესი“ მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტი.

³² საქ. ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის 27-ე მუხლის 26-ე პუნქტი.

³³ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს სხდომის 2016 წლის 6 იანვრის N3 ოქმი.

³⁴ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის 2016 წლის 1 თებერვლის N13/2 ბრძანება.

2.7 მოსაწვევები

სსიპ „ქ. თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრის“ მიერ 2016 წლის განმავლობაში „არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურების“ N6423 ანგარიშზე ასახული შემოსავალი შეადგენს 1,446,677 ლარს, მათ შორის 294,603 ლარი (20.4%) სხვადასხვა ღონისძიებებზე მოწვეულ სტუმრებზე უსასყიდლოდ გაცემული მოსაწვევების ღირებულებაა, რომელიც შეფასებულია არსებული საფასო ტარიფებით. აღნიშნულის შესახებ დეტალური ინფორმაცია არ არის გამჟღავნებული განმარტებით³⁵ შენიშვნებში.

ამასთან, არ არის შემუშავებული შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რომლის მეშვეობით მოხდებოდა თეატრის მიზნებიდან გამომდინარე, მათ შორის მარკეტინგული თვალსაზრისით, ღონისძიებების შესაბამისად მოსაწვევ სტუმართა რაოდენობების დაგეგმვა, მოსაწვევების გადაცემა და აღნიშნული პროცესის ორგანიზებულად მართვა.

3. სამინისტროს ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად; ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა, შეაფასოს ორგანიზაციის უნარი უწყვეტად განაგრძოს საჯარო მომსახურების მიწოდება, როგორც ფუნქციონირებადმა ერთეულმა; აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში უნდა გაამჟღავნოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი და გამოიყენოს აღნიშნული პრინციპი ბუღალტრულ აღრიცხვაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახელმწიფოს გადაწყვეტილი აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა.

ხელმძღვანელი პირები პასუხისმგებელნი არიან კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის კონტროლზე.

³⁵ საქ. ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის 25-ე მუხლის მე-16 პუნქტი.

4. აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას, რომ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 1000-1810) მიხედვით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებას.

უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 1000-1810) შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. ამასთან, ჩვენ აგრეთვე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისათვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომელიც საკმარისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისათვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან დანერგილი შიდა კონტროლის მექანიზმების იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისათვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ სამინისტროს შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობას და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელების მიერ ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის (უწყვეტობის) პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, ვადგენთ არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან

პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა სამინისტროს ფუნქციონირებადობასთან (უწყვეტობასთან) დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ვალდებული ვართ ყურადღება გავამახვილოთ სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, სადაც აღწერილია აღნიშნული განუსაზღვრელობები, ან თუ ამგვარი შენიშვნები ადეკვატური არ არის - გამოვთქვათ მოდიფიცირებული მოსაზრება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, აუდიტის დასკვნის თარიღის შემდგომი მოვლენების ან პირობების გავლენით სამინისტრო შესაძლოა აღარ იყოს ფუნქციონირებადი ერთეული.

- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს სამინისტროს სისტემაში შემავალი და მის მიერ კონტროლირებული ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებულ (ნაერთ) ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენი პასუხისმგებლობა ვრცელდება კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით. აგრეთვე, უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნის თარიღი 18.01.2018წ.

აუდიტორთა ხელმოწერა

სახელი, გვარი

ხელმოწერა

ლალი სეხნიაშვილი

(წამყვანი აუდიტორი)

ლ. სეხნიაშვილი

ლაშა ჩივიაშვილი

(აუდიტორი)

ლ. ჩივიაშვილი

ნანა ფიფია

(აუდიტორი)

ნ. ფიფია

ვიქტორია არუთინოვი

(აუდიტორ-ასისტენტი)

ვ. არუთინოვი

დანართები - სამინისტროს (33 00) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების
ფორმები საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2016 წლის 31 დეკემბერს

ფორმა N1

ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება (ბალანსი)				
	დასახელება	ანგარიში	2016 31 დეკემბერი (საანგარიშო წელი)	2015 31 დეკემბერი (საანგარიშო წლის წინა წელი)
010	აქტივები			
020	მოკლევადიანი აქტივები			
030	ფულადი სახსრები	1100-1200	13,570,009	3,275,615
040	სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1300	1,088,601	1,200,534
050	სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1400	5,909,909	5,067,778
060	სხვა მატერიალური მარაგები	1620	2,454,134	2,646,170
070	სულ მოკლევადიანი აქტივები		23,022,653	12,190,097
080	გრძელვადიანი აქტივები			
090	გრძელვადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები	1500	3,401	3,401
100	სტრატეგიული მარაგები	1610	-	-
110	გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2200	3,241,189	2,363,918
120	ძირითადი აქტივები	2100	311,717,863	225,608,168
130	ფასეულობები	2300	1,815,805	1,780,147
140	არაწარმოებული აქტივები	2400	105,529,132	76,486,927
150	სულ გრძელვადიანი აქტივები		422,307,390	306,242,561
160				
160	ბალანსი		445,330,043	318,432,658
170	ვალდებულებები			
180	მოკლევადიანი ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები			
190	მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	3100	13,972	13,972
200	სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	3200	6,624,999	7,084,889
210	სულ მოკლევადიანი ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები		6,638,971	7,098,861
220	გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	3300	-	-
230	სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
240	სულ ვალდებულებები		6,638,971	7,098,861
250	კაპიტალი			
260	აქტივების წმინდა ღირებულება	5100	425,415,295	313,044,421
270	გაუნაწილებელი მოგება	5220	17,901,476	3,976,181
280	დაუფარავი ზარალი	5230	(4,625,699)	(5,686,805)
290	სულ კაპიტალი		438,691,072	311,333,797
300	ბალანსი		445,330,043	318,432,658

ფორმა N2
ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგება

დასახელება		2016 წლის 31 დეკემბერი (საანგარიშო წელი)			2015 წლის 31 დეკემბერი (საანგარიშო წლის წინა წელი)
		ბიუჯეტი	არასაბიუჯეტო სახსრები	სულ	
010	ბიუჯეტიდან დაფინანსება	119,758,523		119,758,523	108,493,880
020	შემოსავლები (030+040+050+060)	99,663,655	63,457,711	163,121,366	51,726,123
030	გადასახადები	-	-	-	
040	სოციალური შენატანები	-	-	-	
050	გრანტები (მ.შ მიზნობრივი გრანტი 9089223)	99,233,255	23,388,237	122,621,492	30,199,845
060	სხვა შემოსავლები (070+080+090+100+110)	430,400	40,069,474	40,499,874	21,526,278
070	ა. შემოსავლები საკუთრებიდან	-	985,859	985,859	1,193,790
080	ბ. საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	-	27,700,369	27,700,369	15,827,264
090	გ. სანქციები, ჯარიმები, საურავები	1,618	40,823	42,441	66,569
100	დ. ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გარდა გრანტებისა	412,283	10,512,709	10,924,992	712,663
110	ე. სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	16,499	829,714	846,213	3,725,992
120	სულ (010+020)	219,422,178	63,457,711	282,879,889	160,220,003
130	ხარჯები				
140	მომუშავეთა ანაზღაურება	55,954,483	11,791,439	67,745,922	64,945,288
150	საქონელი და მომსახურება	46,199,723	17,846,878	64,046,601	32,555,275
160	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	7,738,648	809,994	8,548,642	6,587,063
170	პროცენტი	-	-	-	-
180	სუბსიდიები	-	-	-	-
190	გრანტები	2,216,889	15,578,916	17,795,805	6,336,045
200	სოციალური უზრუნველყოფა	336,591	116,527	453,118	392,512
210	სხვა ხარჯები	21,292,353	2,285,025	23,577,378	27,939,917
220	რეალიზებული მარაგების ხარჯი	-	-	-	100,630
230	სულ (140+150+160+170+180+190+200+210+220)	133,738,687	48,428,779	182,167,466	138,856,730
240	ფინანსური შედეგი (120-230)	85,683,491	15,028,932	100,712,423	21,363,273

ფორმა N3					
ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგება					
დასახელება		ხაზინის ერთიანი ანგარიში	არასაბიუჯეტო სახსრები	მესამე პირის გადახდები	სულ
010	წმინდა ღირებულება/მოგება ზარალი	112,370,874	14,986,401	-	127,357,275
020	კორექტირებები: ¹	(107,294,401)	737,680	(29,920)	(106,586,641)
030	ცვეთა (+)	7,738,648	809,994	-	8,548,642
040	აქტივების (გარდა მატერიალური მარაგებისა და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივებისა) და ვალდებულებების, არაფულადი ოპერაციებით და სხვა მოვლენებით, წმინდა მიღება (-/+) ²	(114,704,802)	(250,216)	-	(114,955,018)
050	მატერიალური მარაგების ზრდა/კლება (-/+)	85,891	106,145	-	192,036
060	გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები ზრდა/კლება (-/+)	(862,688)	(16,933)	-	(879,621)
070	დებიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (-/+)	564,604	226,717	-	791,321
080	კრედიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (+/-)	(116,054)	(138,027)	(29,920)	(284,001)
090	წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან ³	5,076,473	15,724,081	(29,920)	20,770,634
100	ფულადი სახსრების ნაკადები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან				
110	არაფინანსური აქტივების გაყიდვა	-	-	-	-
120	ძირითადი აქტივები				-
130	სტრატეგიული მარაგები				-
140	ფასეულობები				-
150	არაწარმოებული აქტივები				-

160	არაფინანსური აქტივების შესყიდვა	4,829,301	5,646,939	-	10,476,240
170	ძირითადი აქტივები	4,829,301	5,634,515		10,463,816
180	სტრატეგიული მარაგები				-
190	ფასეულობები		12,424		12,424
200	არაწარმოებული აქტივები				-
210	წმინდა ფულადი სახსრები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან ⁴	(4,829,301)	(5,646,939)	-	(10,476,240)
220	ფულადი სახსრების ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან				
230	წმინდა ფინანსური აქტივები, გარდა ფულადი სახსრებისა				
240	წმინდა ვალდებულებების წარმოქმნა				
250	წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან ⁵	-	-	-	-
260	ფულადი სახსრების მარაგების წმინდა ცვლილება ⁶	247,172	10,077,142	(29,920)	10,294,394
270	ფულადი სახსრების ნაშთი წლის დასაწყისში	28	3,275,587		3,275,615
280	ფულადი სახსრების ნაშთი წლის ბოლოს	400,539	13,169,470		13,570,009
290	ვალუტა და დეპოზიტებით მიღებული კურსთაშორის სხვაობა (-/+)	(61,935)			(61,935)
300	დროებით შეზღუდული თანხები (აკრედიტივები)				

ფორმა N4				
კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება				
N	დასახელება		(საანგარიშო წელი)	
		ბიუჯეტი	არასაბიუჯეტო სახსრები	სულ
010	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	313,044,421	(1,710,624)	311,333,797
020	არასაოპერაციო შემოსავლები (030+040)	27,106,220	336,162	27,442,382
030	კურსთა შორის სხვაობით მიღებული შემოსავალი	80,356	33,958	114,314
040	სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	27,025,864	302,204	27,328,068
050	არასაოპერაციო ხარჯები (060+070)	207,734	277,795	485,529
060	კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი	12,984	33,308	46,292
070	სხვა არასაოპერაციო ხარჯები	194,750	244,487	439,237
080	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები (090+100)	211,103	100,898	312,001
090	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებებით	211,103	6,616	217,719
100	მოგების გადასახადი	-	94,282	94,282
110	საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური შედეგი	85,683,491	15,028,932	100,712,423
120	ნაშთი წლის ბოლოს (010+020-050-080+110)	425,415,295	13,275,777	438,691,072

ფორმა N5								
ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგება								
დასახელება		ბიუჯეტით დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	გადახრა % დაზუსტებულ და დამტკიცებულ გეგმას შორის	ფაქტობრივი (საკასო) ხარჯი	გადახრა % ფაქტობრივ (საკასო) ხარჯსა და დაზუსტებულ გეგმასა შორის	დარიცხული ხარჯი	გადახრა დარიცხულ და ფაქტობრივ (საკასო) ხარჯს შორის
010	ხარჯები	90,879,000	115,736,061	27	123,626,970	7	133,738,687	10,111,717
020	მათ შორის:							-
030	შრომის ანაზღაურება	55,203,000	56,030,317	1	55,954,585	(0)	55,954,483	(102)
040	არაფინანსური აქტივების ზრდა	6,121,000	4,557,011	(26)	5,216,849	14		(5,216,849)
050	ფინანსური აქტივების ზრდა							-
060	ვალდებულებების კლება	-	3,935		3,927	(0)		(3,927)

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE